



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 133

20 02 2017წ.

ქ. თბილისი


სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 9 თებერვლის №120862 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-9 მუხლის, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



თამარ სანიკიძე


შემსრულებელი:

სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი

თარიღი: /15.02.17/  /ქეთევან ჭუჭულაშვილი/

შეთანხმებულია:


სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /15.02.17/  /ანა ბუჩუკური/

იურიდიული სამსახურის უფროსი

თარიღი: /15.02.17/  /ნინო ბეგიაშვილი/

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თარიღი: /20.02.2017/  /ლალი შაიშველაშვილი/

ხელმოწერის თარიღი : /20.02.2017/

001422